საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA




# 2007

წლიური ანგარიში
Annual Report

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

# 2007

## წლიური ანგარიში
## Annual Report


| | | |
|---|---|---|
| აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა | 4 | Message from the Executive Director |
| ჩვენს შესახებ | 6 | About TI Georgia and TI Secretariat |
| 2007 წლის პროექტები | 8 | 2007 Projects |
| სხვა საქმიანობა და ღონისძიებები | 30 | Other Activities and Events |
| მომავალი გეგმები | 50 | Future Activities |
| თქვენი მონაწილეობა | 52 | Getting Involved |
| გამგეობის წევრები და თანამშრომლები | 54 | Members of the Board and Executive |
| დონორები | 58 | Donors |
| ფინანსური მონაცემები | 60 | Financial Data |

# აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2007 წლის საქმიანობა, გასული წლების საქმიანობის მსგავსად, საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის დახვეწას ისახავდა მიზნად. ჩვენ მხარს ვუჭერდით საზოგადოების მონაწილეობას პარლამენტისთვის წარდგენილი ან თავად პარლამენტის მიერ შემუშავებული მნიშვნელოვანი კანონპროექტების განხილვაში, მოქალაქეებს ვაწვდიდით ინფორმაციას ახალი კანონების შესახებ, ვაკვირდებოდით ხელისუფლების მიერ საერთაშორისო და ადგილობრივი ვალდებულებების შესრულებას, თვალყურს ვადევნებდით და ვაანალიზებდით რეფორმების შემუშავებისა და გატარების პროცესში წარმოქმნილ სირთულეებსა და მიღწეულ წარმატებებს, ჟურნალისტებისთვის ვმართავდით სემინარებს ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე ძირითადი მოვლენებისა და სხვა პრიორიტეტული საკითხების თაობაზე, ორგანიზებას ვუწევდით ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ადგილობრივი ხელისუფლების თანამდებობის პირთა სასწავლო ვიზიტებს ლატვიასა და პოლონეთში.

ეს ღონისძიებები მეთოდოლოგიურად და შინაარსობრივად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, თუმცა ყველა ემსახურებოდა ჩვენი მთავარი მისიის განხორციელებას – გაიზარდოს ხელისუფლების გამჭვირვალობა და საზოგადოებას მიეცეს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის განსაზღვრაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.

2007 წლის მოვლენებმა, როდესაც პარლამენტის შენობის წინ ხელისუფლების პოლიტიკისა და ქმედებების გამო უკმაყოფილების გამოსახატავად ათეულათასობით ადამიანი შეიკრიბა, ცხადყო, რომ ხალხის ყველაზე დიდი მხარდაჭერაც კი შეიძლება ძალიან სწრაფად და მნიშვნელოვნად შემცირდეს, თუ ხელისუფლება, სულ მცირე, საკმარის ყურადღებას არ დაუთმობს პოლიტიკური გადაწყვეტილებების საჯაროდ განხილვასა და დასაბუთებას.

თამუნა ქაროსანიძე
*აღმასრულებელი დირექტორი*

# MESSAGE FROM THE EXECUTIVE DIRECTOR



In 2007 Transparency International Georgia continued conducting work that aimed at strengthening Georgia's democratic institutions and enhancing its policy-making and implementation processes. We solicited public input on important draft laws submitted to and initiated by the Parliament of Georgia, disseminated information about newly adopted laws among the general public, monitored the government's adherence to its national and international reform commitments, tracked and analyzed major pitfalls in the government's reform design and enforcement practices, conducted seminars for journalists on major developments in the energy sector, and organized study tours for journalists, NGOs, and local government officials in Latvia and Poland.

These activities, although diverse in methodology and in focus, had one commonality: they all revolved around our mission to increase government transparency and empower the public to participate in setting the course of Georgia's political and economic transformation. The events in November 2007, when thousands rallied in front of the Parliament to demonstrate their dissatisfaction with the government's policies and actions, showed that the government can lose public support if significant effort is not put into publicizing and justifying policy decisions and revealed the continued need for the types of activities we carry out.

This report describes the activities undertaken in each of our projects and other activities conducted during 2007.

Tamuna Karosanidze
*Executive Director*

## „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ოფისი 2000 წლის 7 მაისს დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოების აქტიურობის ხელშეწყობით ქვეყანაში შემცირდეს კორუფციის დონე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ამოცანაა, აქტიურად ითანამშრომლოს საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან, დაეხმაროს მათ კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ სხვადასხვა სექტორში ახორციელებს ანტიკორუფციულ პროგრამებს, რომლებიც მიმართულია ამ სექტორებში სტრუქტურული კორუფციის წინააღმდეგ; საქართველოს მოქალაქეებსა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს აწვდის ინფორმაციას მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და სხვადასხვა მიმართულებით დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმების თაობაზე; ატარებს ხელისუფლების მიერ ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მონიტორინგისა და ანალიზის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

## „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სამდივნო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ არის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ეროვნული ბიურო. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მოძრაობა აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ 90-ზე მეტ ეროვნულ ბიუროს. მისი მიზანია კორუფციის აღმოფხვრა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა როგორც საერთაშორისო დონეზე, ისე ცალკეულ ქვეყნებში. საერთაშორისო დონეზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ იკვლევს მსოფლიოში კორუფციის მიზეზებსა და შედეგებს და მოუწოდებს პოლიტიკოსებს, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შემცირდეს კორუფციის გავლენა და ამ გზით დაიძლიოს სიღარიბე. ორგანიზაცია ასევე მონაწილეობს საერთაშორისო ანტიკორუფციული კონვენციების შემუშავებაში და მხარეთა მიერ მათი შესრულების მონიტორინგში. ცალკეულ ქვეყნებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ საქმიანობს ეროვნული ბიუროების საშუალებით, რომლებიც იკვლევენ შესაბამის ქვეყანაში კორუფციასთან დაკავშირებულ პრობლემებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების როლის გაზრდისათვის.

# ABOUT TI GEORGIA AND TI SECRETARIAT

## TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

Transparency International Georgia (TI Georgia), a national chapter of Transparency International, was established on 7 May 2000 as a local non-governmental organization committed to combating corruption in Georgia by promoting transparency, accountability, and public engagement. Our mission is to serve as the primary source of information on corruption reform in Georgia, assist the Georgian government and the broader public in facilitating reform in sectors where corruption exists, and build and strengthen institutions. To fulfill this mission, TI Georgia: establishes programmatic activities that target structural corruption in specific sectors; promotes access of local populations to information on existing problems and changes initiated to address these problems; encourages input on reform from local and international experts; assists the government in drafting policy; and produces analysis and public policy recommendations on current activities and on future reform.



## TRANSPARENCY INTERNATIONAL SECRETARIAT

Transparency International (TI) is the global civil society organization leading the fight against corruption. It brings together civil society, business, and governments in a powerful global coalition. TI, through its International Secretariat and more than 90 independent national chapters around the world, works to stem both the supply and demand of corruption at the local, national, and international levels. In the international arena, TI raises awareness about the damaging effects of corruption, advocates policy reform, works towards the implementation of multilateral conventions, and monitors compliance by governments, corporations, and banks. At the national level, chapters work to increase levels of accountability and transparency, monitoring the performance of key institutions and pressing for necessary reforms in a non-partisan manner.

# 2007 წლის პროექტები

## 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მონიტორინგი

2007 წლის 1 დეკემბერი – 2008 წლის 31 ივლისი
ევროკომისია და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ განახორციელა ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენების მონიტორინგი. მონიტორინგი დაიწყო 2007 წლის 8 ნოემბერს, როდესაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის დაშლის შედეგად წარმოქმნილი დაძაბულობის განმუხტვის მიზნით ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ პირველი განცხადება გააკეთა, და გაგრძელდა არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე. მონიტორინგის პროცესში ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციული რესურსების შემდეგ სახეობებზე: ფინანსური რესურსები, ინსტიტუციური რესურსები, ადამიანური რესურსები, მედიარესურსები და ძალოვანი რესურსები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მონიტორინგის შედეგები 2 შუალედურ ანგარიშში შეაჯამა. ეს ანგარიშები მოიცავდა პერიოდებს 2007 წლის 8 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე და 5 დეკემბრიდან 26 დეკემბრამდე. გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემები: მმართველი პარტიის მიერ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე არაერთი დაუგეგმავი სოციალური ინიციატივის განხორციელება, მათ შორის, პენსიებისა და მასწავლებელთა ხელფასების ზრდა და სხვადასხვა სახის ერთჯერადი ვაუჩერების დარიგება (ფინანსური რესურსების გამოყენება); საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა მანამდე განხორციელებულ პოლიტიკას, მაგალითად, სალარო აპარატების გაუქმება, სადავო ქონების ლეგალიზება და მსუბუქი დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულთა ამნისტია (მარეგულირებელი რესურსების გამოყენება); საჯარო მოხელეთა აქტიური მონაწილეობა მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიაში და სახელმწიფო ორგანოებისა და მმართველი პარტიის საქმიანობის აღრევა (ინსტიტუციური რესურსების გამოყენება); ოპოზიციური პარტიების მომხრეთა, რეგიონული საარჩევნო შტაბების თანამშრომელთა და ამომრჩევლების დაშინება (ძალოვანი რესურსების გამოყენება). იანვრის მიწურულს ორგანიზაციამ გამოაქვეყნა საბოლოო ანგარიში, რომელშიც გაერთიანებული იყო მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ყველა დარღვევა, აგრეთვე მოცემული იყო რეკომენდაციები მომავალი არჩევნების დროს მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

# 2007 PROJECTS

## MONITORING THE USE OF ADMINISTRATIVE RESOURCES IN THE 2008 PRESIDENTIAL AND PARLIAMENTARY ELECTIONS

**1 December 2007 – 31 July 2008**
**European Commission and Swiss Agency for Development and Cooperation**

TI Georgia monitored the use of administrative resources for campaigning purposes during the pre-election period of the presidential election on 5 January 2008. The monitoring started on 8 November after President Mikheil Saakashvili announced the early presidential elections to relieve the tension after the dispersal of the November protests. Five types of hard and soft resources were monitored: coercive, regulatory, institutional, financial, and media.

TI Georgia summarized findings into two interim reports, which covered the periods of November 8 to December 4 and December 5 to December 26. The major problems identified included: the introduction of a number of unplanned social initiatives shortly before the elections by the ruling party, e.g. increased pensions, increased salaries for teachers, and one-time vouchers for socially vulnerable groups (use of financial resources); the initiation of a number of legislative initiatives that directly contradicted earlier stances, e.g. abolishing cash registers, giving amnesty for property disputes, and releasing prisoners convicted of petty crimes (use of regulatory resources); the active participation of public officials in the ruling party's campaign with blurred distinctions between official and party activities (use of institutional resources); and the intimidation of opposition party supporters, regional campaign headquarters, and voters (use of coercive resources). TI Georgia published a final report at the end of January, documenting findings and providing recommendations for preventing the future misuse of administrative resources.



ზემოაღნიშნული მონიტორინგის გარდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებისთვის მასმედიის მონიტორინგიც განახორციელა. იგი ფოკუსირებული იყო შემდეგ საკითხებზე: ტელევიზიებსა და ბეჭდვით მედიაში პრეზიდენტობის კანდიდატთა ჩვენების სიხშირე; ტელევიზიებისა და ბეჭდვითი მედიასაშუალებების ტონი სხვადასხვა კანდიდატთან მიმართებით; პრეზიდენტობის კანდიდატთა ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამების გაშვების სიხშირე და საბაზრო ფასები, ბეჭდვით მედიაში კანდიდატთა ფოტოების გამოქვეყნება. მასმედიის მონიტორინგის შესახებ პირველი ანგარიში 2007 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა. მონიტორინგის საბოლოო შედეგები „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დასკვნით ანგარიშში აისახა.

უშუალოდ არჩევნების დღეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ განახორციელა ხმის მიცემის პროცესის მონიტორინგი წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში. ორგანიზაციამ გამოავლინა, რომ ხმის მიცემა წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა მხოლოდ 7%-ს შეეძლო, რადგან სწორედ ამდენს ჰქონდა ბიულეტენის მისაღებად აუცილებელი პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

In addition to this monitoring, TI Georgia conducted media monitoring in the pre-election period, focusing on: frequency of presidential candidates' appearance on TV and in print media; tone of coverage of different presidential candidates by the monitored media outlets; frequency and pricing of political advertisements; equity of interviews, editorials, and other print media materials, as well as TV stories about the candidates; and photos of presidential candidates in print media. The first report on media monitoring was published on 27 December 2007. The final data was included in TI Georgia's final report.

TI Georgia also conducted election day monitoring in preliminary detention facilities throughout the country, finding that only seven percent of preliminary detainees were able to vote, as only seven percent of them had identification cards, which are required by Georgian legislation to cast a vote.



## საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი

### 2006 წლის 1 ივლისი – 2007 წლის 31 ივნისი

ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო

2007 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გააგრძელა საქართველოს ხელისუფლების მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების დამოუკიდებელი შეფასება, რაც მათი შესრულების ხელშეწყობას და რეფორმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ისახავდა მიზნად. ორგანიზაციის ანალიზი ძირითადად ფოკუსირებული იყო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით (ENP AP) გათვალისწინებულ ვალდებულებებზე, თუმცა ასევე მოიცავდა კორუფციის წინააღმდეგ ქვეყანათა ჯგუფის (GRECO), ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) რეკომენდაციებს და პოლიტიკის განმსაზღვრელ ადგილობრივ დოკუმენტებს, კერძოდ, 2007-2010 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის სამოქმედო გეგმას.

ამ პროექტის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ აქვეყნებდა ყოველთვიურ ანგარიშებს, რომლებიც ასახავდა სხვადასხვა პრიორიტეტულ სფეროში რეფორმის მიმდინარეობის პროცესს. 2007 წელს მომზადებულ ანგარიშებში გაანალიზებული იყო მთავრობის მიდგომა უმუშევრობის შემცირების, საკუთრების უფლების დაცვის, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის რეფორმირების, თავდაცვის სექტორის რეფორმირებისა და ჰოსპიტალური სექტორის პრივატიზაციის საკითხებისადმი. ანგარიშები ქართულ და ინგლისურ ენებზე მომზადდა. მათი ელექტრონული და ბეჭდვითი ვერსიები დაეგზავნათ მთავრობის წარმომადგენლებს, საქართველოს და საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დიპლომატებს, საერთაშორისო ინსტიტუტებს, პოლიტიკურ პარტიებს, მასმედიას და ფართო საზოგადოებას.

## GEORGIA'S INTERNATIONAL COMMITMENTS ASSESSMENT PROGRAM

**1 July 2006 – 31 June 2007**
**Ministry of Foreign Affairs of Finland**

TI Georgia continued independently assessing the government's activities in different spheres relative to its domestic and international commitments in order to promote their implementation and raise public awareness of the government's reform strategies. TI Georgia's analysis primarily focused on the obligations under the European Neighbourhood Policy Action Plan (ENP AP), but also examined the recommendations from the Group of States against Corruption (GRECO), the Organization for Economic Co-Operation and Development (OECD), and the North Atlantic Treaty Organization (NATO), as well as domestic policy-setting documents, such as Basic Data and Directions 2007-2010 and the National Anti-Corruption Strategy and Implementation Action Plan.

The reports prepared through this project outlined the main developments and opinions around different policy issues. In 2007, the reports covered the government's approaches to curbing unemployment, addressing property rights in Georgia, financing political parties, reforming Georgia's national statistics, reforming the defense sector, and privatizing secondary healthcare, among other topics. The reports were prepared in Georgian and English and disseminated electronically and in print to representatives of the government, Georgian and international public organizations, the diplomatic community, international institutions, political parties, media representatives, and the general public.

In 2007, the European Commission Delegation to Georgia consulted these reports when preparing the ENP implementation reports in their respective areas.



## „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ოფისი პარლამენტში

**2006 წლის 1 თებერვალი – 2008 წლის 30 აპრილი**
**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო**

სხვადასხვა სფეროში პრაქტიკული საქმიანობით დაკავებულ ადამიანთა რჩევების, საკანონმდებლო პროცესში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობისა და პარლამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლების გზით პროექტი შესაძლებლობას აძლევს პარლამენტის წევრებს, კანონპროექტების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღონ. პროექტის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ორგანიზებას უწევს ფოკუს-ჯგუფების შეხვედრებსა და მრგვალ მაგიდებს კანონპროექტებზე, განსაკუთრებით თბილისის გარეთ, რათა უზრუნველყოს კანონშემოქმედებით პროცესში იმ ჯგუფების მონაწილეობა, რომლებზედაც ესა თუ ის კანონი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს. შემდეგ ხდება დისკუსიების შედეგების შეჯამება და მოკლე ანგარიშების მომზადება. ეს ანგარიშები, შესაბამის სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილებისა და საერთაშორისო აქტების მიმოხილვასთან ერთად, ეგზავნებათ პარლამენტის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებსა და პირებს.

2007 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ფოკუს-ჯგუფების 4 დისკუსია გამართა შემდეგ კანონპროექტებზე: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ და „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონები.

პროექტის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ აგრეთვე გამოაქვეყნა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ანგარიშები და მაჟორიტარ პარლამენტის წევრთა ბიუროების აპარატის თანამშრომლებისათვის ჩაატარა ორდღიანი სწავლება, რომელიც კონფლიქტების მოგვარების საკითხებს დაეთმო.

ამ პროექტის ფარგლებში 2006 წელს განხორციელებული საქმიანობა აღწერილია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2006 წლის ანგარიშში.

## TI GEORGIA OFFICE IN PARLIAMENT

**1 February 2006 – 30 April 2008**
**Swiss Agency for Development and Cooperation**

The project enables Georgian parliamentarians to make informed decisions about draft laws by providing them with advice from practitioners in respective fields, actively involving civil society in the legislative process, and improving the transparency of information given from the Parliament. As part of this program, TI Georgia organizes focus group meetings and roundtable discussions on draft legislation, especially outside of Tbilisi in order to solicit input from those groups that are most impacted by the laws. These discussions are then summarized and the main points are incorporated into recommendations for the government that include international experience in similar areas and correspondence with international acts.

In 2007, TI Georgia conducted four focus group discussions. During these discussions, TI Georgia distributed assessments of the draft law on conflict of interest and corruption; the draft law on general courts and disciplinary liability of judges of the general courts and disciplinary lawmaking; and the draft law on privatization of state property.

TI Georgia also published committee reports for the Sector Economy and Economic Policy Committee, the Finance and Budget Committee, and the Healthcare and Social Assistance Committee and conducted a two-day training for bureau staff members on conflict management.

A description of the activities completed through this project in 2006 is available in TI Georgia's annual report for 2006.



## მაჟორიტართა პროექტი: ინფორმირებული მოქალაქეები და ანგარიშვალდებული ხელისუფლება

2005 წლის 1 ივნისი – 2008 წლის 31 მაისი
ბრიტანეთის საელჩო თბილისი

პროექტის მიზანია, გააუმჯობესოს ურთიერთობები მაჟორიტარ პარლამენტის წევრებსა და მათ ამომრჩევლებს შორის, აგრეთვე ხელი შეუწყოს კანონშემოქმედებითი პროცესის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას და ამ პროცესში მის მონაწილეობას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ სამ თვეში ერთხელ მართავს საჯარო შეხვედრებს 57 რაიონში მაჟორიტარ პარლამენტის წევრებთან და მათი რაიონული ბიუროების წარმომადგენლებთან ერთად. ამ შეხვედრებზე მოქალაქეები იღებენ ინფორმაციას პარლამენტში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების და მისი სამომავლო გეგმების შესახებ; გარდა ამისა, მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ, მაჟორიტარს გააცნონ ადგილობრივ დონეზე არსებული უმთავრესი პრობლემები და გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები პარლამენტის საქმიანობის თაობაზე.

პროექტის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ აგრეთვე აფასებს მაჟორიტართა ბიუროების საქმიანობას, მის დამაბრკოლებელ ადმინისტრაციულ ბარიერებს და ბიუროების თანამშრომელთათვის ატარებს სწავლებას მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. პროექტის განხორციელების დასკვნით ფაზაში ორგანიზაცია მოამზადებს მაჟორიტართა საქმიანობის ერთიან ანალიზს და კონკრეტულ რეკომენდაციებს ამომრჩევლებთან მათი კავშირის გაუმჯობესებისათვის.

2007 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გამართა რაიონული შეხვედრების ორი რაუნდი (სულ – 79 შეხვედრა), რომლებშიც 2000-ზე მეტმა მოქალაქემ და 25-მა პარლამენტის წევრმა მიიღო მონაწილეობა. შეხვედრები დაეთმო პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობას, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებს, საარჩევნო კოდექსს, საკუთრების უფლებასა და სოციალური დახმარების პროგრამებს. ორგანიზაციამ აგრეთვე წარმოადგინა პარლამენტის 2004-2007 წლების საქმიანობის შემაჯამებელი ინფორმაცია, მათ შორის, 2004-2006 წლებში მნიშვნელოვან საკითხებზე გამართული კენჭისყრების შედეგები. განხილულ იქნა საპარლამენტო კენჭისყრების საჯაროობის მნიშვნელობა, პარლამენტისგან ამ მონაცემების მიღების გზები და ინფორმაციის გაანალიზების მეთოდები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ აგრეთვე გამართა ორდღიანი ტრენინგი ბიუროების თანამშრომელთათვის კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე და სემინარი საქართველოს სოციალური დახმარების სისტემის შესახებ.

ამ პროექტის ფარგლებში 2006 წელს განხორციელებული საქმიანობა აღწერილია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2006 წლის ანგარიშში.

## THE MAJORITARIAN PROJECT: INFORMED CITIZENS AND ACCOUNTABLE GOVERNMENT

**1 June 2005 – 31 May 2008**
**British Embassy in Tbilisi**

The project strives to foster communication between majoritarian parliamentarians and their constituencies and promote public awareness of and input into the legislative process. To achieve these goals, TI Georgia, in cooperation with majoritarian MPs and their district office (bureau) representatives, conducts public meetings in three-month cycles in 57 districts of Georgia. At these meetings citizens receive information about parliamentary developments over the last three months and its future plans. Participants also have the opportunity to inform their majoritarian MPs about their main concerns at the local level and share with them their opinions about the Parliament's work.

As part of the project, TI Georgia also assesses majoritarian bureaus and administrative barriers to their work and conducts trainings for bureau staff to raise their qualification. At the end of the project TI Georgia will prepare a unified analysis of majoritarian MPs' activities and specific recommendations for increasing their responsiveness to local constituencies.

In 2007, TI Georgia conducted two rounds of district meetings (79 meetings total), in which more than 2,000 people and 25 MPs participated. These meetings focused on: issues related to the transparency of the Parliament; amendments to the constitution, the Election Code, property rights, and social assistance programs. TI Georgia also presented a summary of Parliament's activities from 2004 to 2007, including a poster with voting records on important votes from 2004 to 2006 and a discussion of the importance of tracking parliamentary vote records, ways to obtain them from the Parliament, and how to interpret this information.

TI Georgia also conducted a two-day training for bureau staff members on conflict management and a seminar on Georgia's social assistance system.

A description of the activities completed through this project in 2006 is available in TI Georgia's annual report for 2006.



## საზოგადოების ინფორმირება ენერგეტიკის სფეროში განვითარებული მოვლენებისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ

2007 წლის 1 ოქტომბერი – 2008 წლის 31 სექტემბერი
BP საქართველო

პროექტის მიზანია ენერგეტიკის სფეროში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" ენერგეტიკის სექტორზე ყურადღების გამახვილება 2 მიზეზით გადაწყვიტა: 1) ენერგოსექტორში განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე და 2) ენერგოსექტორი ტექნიკური, საკმაოდ ძნელად გასაგები სფეროა და საზოგადოებისთვის რთულია მისთვის თვალყურის დევნება.

პროექტის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" თბილისისა და რეგიონების ჟურნალისტებისთვის მართავს ყოველთვიურ ტრენინგ-სემინარებს ენერგეტიკის საკითხებზე; ტრენინგ-სემინარებში მონაწილე ჟურნალისტებთან ერთად ამზადებს და მთელი ქვეყნის მასშტაბით (გარდა კონფლიქტური რეგიონებისა) ავრცელებს კვარტალურ საგაზეთო ჩანართებს, რომლებიც მთლიანად ენერგეტიკის სფეროს ეთმობა; ატარებს კონკურსებს ენერგეტიკის თემაზე მომზადებული საუკეთესო საგაზეთო სტატიებისა და სატელევიზიო სიუჟეტების გამოსავლენად; ამზადებს და ავრცელებს ყოველთვიურ ანგარიშებს ენერგეტიკის სექტორთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე (ამ სფეროში არსებული მიღწევები და პრობლემები, სექტორის გამჭვირვალობის დონე, საქართველოზე საერთაშორისო ენერგეტიკული პროცესების გავლენა, საქართველოს ურთიერთობები ენერგომატარებლების მომწოდებელ ქვეყნებთან და ა.შ.); ახორციელებს მედიამონიტორინგს, რათა მოიპოვოს და გაავრცელოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა საკითხებზე ამახვილებს მასმედია ყურადღებას ენერგეტიკის სფეროსთან მიმართებით და რა პრობლემები იკვეთება ამ კუთხით მთლიანად ქვეყანაში და მის სხვადასხვა რეგიონში/ქალაქში.

## PROMOTING UNDERSTANDING OF THE ENERGY SECTOR IN GEORGIA

**1 October 2007 – 31 September 2008**
**BP Georgia**

The project aims at increasing public awareness of the energy sector and disseminating information throughout the country about the reforms carried out in this sphere. TI Georgia chose to focus on the energy sector because: (a) the government is not proactive in providing information to the public about the energy sector and there are often conflicting messages about issues related to gas and electricity and (b) the energy sector is a technical field, which is not easy to understand or monitor.

Through the project, TI Georgia produces and disseminates monthly reports documenting: issues of concern in the energy sector, the government's activities and achievement of intended results, transparency of the sector, and the effect of international energy developments on Georgia, and Georgia's relations with energy supplier countries. Based upon this information, TI Georgia conducts monthly trainings for journalists on the energy sector in Georgia to improve their capacity to write articles on the sector. In order to provide additional support and incentives to journalists to report on energy sector issues, TI Georgia awards one journalism award on a quarterly basis to the best coverage of the energy sector. Any journalist who has published an article on energy-related issues in a Georgian language newspaper or magazine or has prepared a TV story on these issues can participate in the competition.

Beginning in 2008, TI Georgia will produce tri-annual newspaper inserts that include comprehensive articles on energy sector related issues for distribution throughout the country. TI Georgia staff and participant journalists will prepare articles that analyze the energy sector and any changes over the previous four months related to this sector. In addition, statistics gathered by tracking the media coverage of the sector will be included in the insert.



## ხელისუფლების მიერ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი

2007 წლის 1 ივნისი – 25 დეკემბერი
ეუთოს მისია საქართველოში

2007 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გააგრძელა საქართველოს ხელისუფლების მიერ „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. ოქტომბერში ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ალტერნატიული ანგარიში, რომელშიც მოცემული იყო დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად, რა დაბრკოლებები წარმოიქმნა ამ პროცესში და რა იყო დაგეგმილი სამომავლოდ. გარდა რეკომენდაციების შესრულების ანალიზისა, ანგარიში მოიცავდა ხელისუფლების ზოგადი ანტიკორუფციული კამპანიის შეფასებას, მის უმთავრეს წარმატებებსა და ნაკლოვანებებს, ასევე რეკომენდაციებს ამ კამპანიის დახვეწისათვის. ანგარიში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გააცნო „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ ანტიკორუფციული ქსელის შემფასებელ ჯგუფს, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, საქართველოს და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჟურნალისტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

პროექტის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ აგრეთვე ჩაატარა კვლევა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გატარებული ანტიკორუფციული ღონისძიებებისა და ადგილობრივ დონეზე არსებული კორუფციული საფრთხეების შესახებ. კვლევის შედეგები აისახა ცალკე ანგარიშში, რომელშიც მოცემული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების მიმოხილვა, ამ კანონმდებლობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი პრობლემებისა და მათი მიზეზების ანალიზი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ სხვადასხვა მარეგულირებელი დებულების დაცვის შეფასება (მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვებთან, ინფორმაციის საჯაროობასთან, ბიუჯეტის შედგენასა და ხარჯვასთან დაკავშირებული დებულებების), ამ ორგანოთა საქმიანობის ძირითადი პრაქტიკის აღწერა და მათი მოსაზრებები ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ზემოთ აღწერილი საქმიანობის მიზანი იყო საქართველოში ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე გატარებული ანტიკორუფციული ღონისძიებების დეტალური და ნეიტრალური შეფასების არარსებობით წარმოქმნილი ვაკუუმის შევსება, რაც დაინტერესებულ მხარეებს – საერთაშორისო თანამეგობრობას, საქართველოს ხელისუფლებას და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს – შესაძლებლობას მისცემდა, უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ამ ღონისძიებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფაში.

## MONITORING THE GOVERNMENT'S IMPLEMENTATION OF THE OECD ANTI-CORRUPTION NETWORK RECOMMENDATIONS

**1 June 2007 – 25 December 2007**
**OSCE Mission to Georgia**

In 2007, TI Georgia continued monitoring the implementation of the OECD's Anti-Corruption Network (ACN) recommendations to the government of Georgia. In October it publicized an alternative corruption status report that provided an independent and comprehensive analysis of the government's efforts and challenges in fulfilling the recommendations. In addition to focusing on the ACN recommendations, the report evaluated the government's overall anti-corruption campaign and highlighted its major successes and setbacks during the past year. TI Georgia presented the report to the ACN review group and disseminated it to over 2,500 recipients in Georgia and internationally to contribute to a greater understanding of Georgia's anti-corruption reforms among both the Georgian public and international community.

Along with producing the alternative corruption status report, TI Georgia monitored and examined the local government's capacity to carry out anti-corruption work to complement the central government's activities. TI Georgia prepared a separate report analyzing legislation regulating local government, its implementation, ambiguities that allow corruption to exist, local councils' compliance with legal requirements (such as procurement procedures, FOIA regulations, budget formulation, etc.), local councils' work practices, and their thoughts about the key challenges and major needs at the local level.

TI Georgia's monitoring activities and the follow-up reports sought to respond to the lack of a detailed and neutral evaluation of Georgia's anti-corruption efforts at the national and local level and thus to enable different stakeholders, including the international community, local public, civil society organizations, and other interest groups to take a more active role in ensuring the government's adherence to its anti-corruption agenda.

## სამოქალაქო საზოგადოების მიერ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმის მონიტორინგის ხელშეწყობა

2007 წლის 1 ოქტომბერი – 2008 წლის 31 მარტი
ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

2007 წელს მთავრობამ დაიწყო „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის“ განხორციელება, რომელიც გულისხმობდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ყველა საავადმყოფოს პრივატიზაციის გზით კერძო საკუთრებაში გადაცემას, რაც, ხელისუფლების აზრით, ხელს შეუწყობდა ამ სექტორში კერძო ინვესტიციების მოზიდვას, საავადმყოფოებს შორის კონკურენციის გაზრდას და, შესაბამისად, მათ მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

გენერალური გეგმის ეფექტიანობის შეფასების მიზნით განხორციელებული პროექტის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ჩაატარა ჰოსპიტალური სექტორის პრივატიზაციის მონიტორინგი, შეისწავლა კერძო ინვესტორებსა და სახელმწიფოს შორის დღემდე დადებული ხელშეკრულებები, ჩაატარა სამედიცინო პერსონალისა და საავადმყოფოების ხელმძღვანელ პირთა გამოკითხვა მიმდინარე რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ამ სფეროში მომუშავე საქართველოს და საერთაშორისო ორგანიზაციების შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით მოამზადა რეკომენდაციები სექტორის რეფორმის დახვეწისათვის.

სამედიცინო საზოგადოებიდან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო თბილისის 13 საავადმყოფოს 64-მა თანამშრომელმა და ხელმძღვანელმა პირმა. გამოკითხვაში ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე: ა) რამდენად ინფორმირებული არიან სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ამ სფეროში, კონკრეტულად, ჰოსპიტალური სექტორის პრივატიზაციის კუთხით განვითარებული პროცესების შესახებ, ბ) რამდენად ეთანხმებიან ისინი ხელისუფლების პოლიტიკას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, გ) როგორ აფასებენ ჰოსპიტალური სექტორის პრივატიზაციის მიმდინარეობას, დ) როგორ წარმოუდგენიათ ჯანდაცვის სფეროს ეფექტიანობის ამაღლება და ა.შ.

მონიტორინგისა და კვლევითი საქმიანობის დასრულების შემდეგ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მოამზადა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართული იყო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში სამედიცინო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული ჯგუფების ჩართვისკენ, საპრივატიზაციო კონკურსების გამარჯვებულთა შერჩევის უფრო მკაფიო და თანმიმდევრული კრიტერიუმების შემუშავებისკენ, ამ პროცესში ჩართულ სახელისუფლებო სტრუქტურებსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობების გააქტიურებისკენ, ჯანდაცვის სფეროს რეგულირების ეფექტიანი მექანიზმების შექმნისკენ, ახალი საავადმყოფოების მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებისკენ და ა.შ.

## PROMOTING CIVIL SOCIETY MONITORING OF SECONDARY HEALTHCARE REFORM

**Eurasia Partnership Foundation**
**1 October 2007 – 31 March 2008**

TI Georgia's healthcare project was designed to follow on the heels of the government's initiation of hospital sector privatization. In 2007 the government decided to turn the deteriorated healthcare industry over to the private sector with the idea that this would lead to increased competition, higher investments into the sector, and ultimately, the provision of better medical services.

TI Georgia's project had two main objectives: promote the effectiveness of the hospital privatization process and improve the capacity of civil society to monitor this process and its outcomes. Through the project, TI Georgia monitored the privatization process, reviewed the privatization agreements completed during the project period, researched stakeholders' views about the privatization process, trained journalists about the intricacies of secondary healthcare reform throughout the country, and provided recommendations to the government on how to increase the effectiveness of the initiated reform.




The Global Corruption Barometer 2007 from Georgia was conducted by the Caucasus Research Resource Center on behalf of Transparency International. The survey was conducted face to face in urban areas. Three thousand forty-one respondents eighteen years old or older were interviewed. Fieldwork was conducted from October 7, 2007 to October 31, 2007.

## პარლამენტის მიერ ინფორმაციის საჯაროობის წესების დაცვის შეფასება

2007 წლის მაისში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ განახორციელა პარლამენტის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინფორმაციის საჯაროობის წესების დაცვის კვლევა. პროექტი ფოკუსირებული იყო პარლამენტიდან ინფორმაციის მიღების პროცედურების ეფექტიანობის, პარლამენტის მიერ ამ პროცედურების დაცვის და პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის სისრულის შეფასებაზე.

ორგანიზაციამ რიგითი მოქალაქეების სახელით პარლამენტში გააგზავნა 94 წერილი სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. წერილები დაეგზავნა კომიტეტებს, ფრაქციებს, დეპარტამენტებს, მანდატურის სამსახურს, პარლამენტის აპარატის უფროსს, პარლამენტის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს. თითოეულ ადრესატს გაეგზავნა 3 სახის წერილი: 1) წერილი, რომელიც მოითხოვდა მოკლე პასუხს კონკრეტულ კითხვაზე და რომელზედაც პასუხი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაუყოვნებლივ უნდა გაცემულიყო; 2) წერილი, რომელიც მოითხოვდა უფრო დეტალურ პასუხს, შესაბამისად, დამატებითი ინფორმაციის მოძიებას, და რომელზედაც პასუხი 10 დღის ვადაში უნდა გაცემულიყო; 3) წერილი, რომელსაც უშუალო კავშირი არ ჰქონდა ადრესატის კომპეტენციასთან და, შესაბამისად, მოითხოვდა მისი გამომგზავნისთვის სხვა, შესაბამისი უწყების მითითებას ან პასუხის გაცემას ამ უწყებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ამ წერილებზე მათი ადრესატების რეაგირება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გააანალიზა, თუ რამდენად იცავს პარლამენტის სხვადასხვა სტრუქტურა ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებულ წესებს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამ მხრივ ყველაზე კარგი მდგომარეობაა აგრარულ საკითხთა კომიტეტში, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში, ფრაქცია „მაჟორიტარებში“, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტში და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, ბ-ნი მიხეილ მაჭავარიანის სამდივნოში. მათ ყველა კითხვას დროულად გასცეს ამომწურავი პასუხები.

კვლევის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტ-გვერდზე www.transparency.ge.

## GAUGING PARLIAMENT'S COMPLIANCE WITH FREEDOM OF INFORMATION REGULATIONS

In May 2007, TI Georgia conducted research on the Parliament's compliance with the FOIA regulations set forth by the General Administrative Code of Georgia. The research focused on the effectiveness of the procedures of delivering information from the Parliament, Parliament's compliance with these procedures, and the completeness of the information delivered by the Parliament.

TI Georgia sent FOIA requests to the Parliament on behalf of ordinary citizens to assess its responsiveness to citizens as opposed to Georgian or international NGOs or other civil society groups. A total of 94 FOIA requests were sent to: all parliamentary committees, factions, departments, the parliamentary chairperson, deputy chairs, the head of the parliamentary staff, and the parliamentary supervisor's service.

Three different types of letters were sent to these subdivisions: (1) letters requiring short answers to concrete questions (requiring an immediate response upon being received); (2) letters requiring more thorough answers that necessitated an information search (requiring a response within ten days); and (3) letters not directly linked to the work/authority of the given subdivision (thus requiring referral to the appropriate agency or responses based upon information from the appropriate agency).

Through the reaction to the letters TI Georgia assessed the adherence of the different parliamentary subdivisions to the FOIA regulations. The following subdivisions provided the most timely and comprehensive responses: the Agrarian Issues Committee, the Procedural Issues and Rules Committee, the Faction Majoritarians, the Public Relation's Department, and the Office of the Deputy Chairman of Parliament, Mr. Mikheil Machavariani.

Detailed information about this research is available at www.transparency.ge.



## საქართველოში კეთილსინდისიერი ქცევის უზრუნველმყოფი სისტემის პარამეტრების განსაზღვრის პროექტი

2007 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მონაწილეობდა საქართველოში კეთილსინდისიერი ქცევის უზრუნველმყოფი სისტემის პარამეტრების განსაზღვრის პროექტში. პროექტი განახორციელეს „ეთიკური მმართველობისა და სამართლის ინსტიტუტმა“ (IEGL) და ორგანიზაცია „თირმა“ (ქსელი „მმართველობა – ხელმისაწვდომობა – სწავლა“) საქართველოს 3 არასამთავრობო ორგანიზაციასთან პარტნიორობით. ესენია: „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“. კვლევა დააფინანსა „ღია საზოგადოების ინსტიტუტმა“ თავისი ადგილობრივი ფილიალის, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მეშვეობით.

პროექტის ძირითადი მიზანი იყო საქართველოში კეთილსინდისიერი ქცევის განმსაზღვრელი ინსტიტუტების აღწერა და მათი ეფექტიანობის შეფასება. უფრო კონკრეტულად, ყურადღება გამახვილდა: ა) ამ ინსტიტუტებს შორის ფუნქციების გადანაწილებაზე, ბ) მათ შორის არსებულ კოორდინაციაზე (ან მის ნაკლებობაზე) და გ) მათი საქმიანობის პროდუქტიულობაზე. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობისა და ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი, ემპირიული კვლევა და მონაცემების შეგროვება ინტერვიუების მეშვეობით, ასევე ჩატარდა სემინარები ხელისუფლების წარმომადგენლებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით.

კვლევის შედეგები აისახა საბოლოო ანგარიშში, რომელიც არსებული მდგომარეობისა და პრობლემების აღწერასთან ერთად მოიცავდა გამოკვეთილი ხარვეზების აღმოფხვრის გზებსაც. ანგარიში 2007 წლის ივლისში გამოქვეყნდა.

## THE GNISA PROJECT

In 2007 TI Georgia participated in carrying out the *Assessment of Georgia's National Integrity Study: The GNISA project.* This project was carried out by the Institute of Ethics Governance and Law (IEGL) and Tiri (the Governance - Access - Learning Network) in partnership with three Georgian NGOs: the Caucasus Institute for Peace, Democracy, and Development (CIPDD), the Georgian Young Lawyers' Association (GYLA), and TI Georgia. The Open Society Institute (OSI), through its local branch the Open Society Georgia Foundation (OSGF), provided financial support for the assessment.

The GNISA project involved "mapping"- describing and assessing the effectiveness of Georgia's integrity institutions - specifically focusing on assessing (a) capacities of these institutions to fulfill their tasks, (b) their inter-relationships with one another, and (c) the actual impact of their work. The assessment involved desk research, documentary analysis, empirical research and data collection through interviews, and expert workshops. The research team released the final report presenting its findings and recommendations in July 2007.



## არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ არის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციისა „საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის“, რომელიც 5 ორგანიზაციას აერთიანებს. ესენია: ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“.

კოალიციის მიზნებია საქართველოში სახელმწიფო ფინანსების მართვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო სახსრების განაწილების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერება. ამ მიზნების მისაღწევად კოალიცია რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, კერძოდ: ამზადებს და ავრცელებს გზამკვლევებსა და სახელმძღვანელოებს საბიუჯეტო პროცესის და მისი მონიტორინგის მექანიზმების შესახებ; ხელისუფლების, მასმედიისა და ფართო საზოგადოების წარმომადგენლებს უტარებს ტრენინგ-სემინარებს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებთან დაკავშირებულ საკითხებზე; აანალიზებს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებულ ბიუჯეტის პროექტებს; აფასებს სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას და მასში არსებულ ხარვეზებს; შეიმუშავებს ახლებურ მიდგომებს საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის და ა.შ.

2007 წელს კოალიცია თვალყურს ადევნებდა „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამისა“ (MCG) და „BP საქართველოს“ გრანტებისა და პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვის მონიტორინგს. მან ასევე შეისწავლა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP AP) შემუშავებისა და განხორციელების პროცესი და მოამზადა ანგარიში, რომელიც დეტალურად აღწერდა ამ პროცესებს და მათ დადებით და უარყოფით მხარეებს. კოალიციის ერთ-ერთი მიზანია აგრეთვე მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივის განხორციელება (EITI) საქართველოში.

კოალიციისა და მისი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტ-გვერდზე www.publicfinance.ge.

## COALITION OF CIVIL SOCIETY ORGANIZATIONS FOR TRANSPARENCY OF PUBLIC FINANCES

TI Georgia is a member of the Coalition of Civil Society Organizations for Transparency of Public Finances. The Coalition unites five NGOs: Open Society Georgia Foundation (OSGF), the Georgian Young Lawyers' Association (GYLA), the Association of Young Economists of Georgia (AYEG), the Economic Policy Research Center (EPRC), and TI Georgia. The Coalition works to improve the transparency of the public finance management process in Georgia and increase the voice of civil society in the allocation of public funds. To achieve this goal, the Coalition works in several directions. It produces and disseminates budget guides and toolkits; conducts budget trainings for government officials, the media, and the general public; conducts and disseminates analysis of executive budget proposals; tracks and analyzes new legislation that affects public finance systems in Georgia; pilots new approaches, such as pilot budgeting, etc. In 2007, the Coalition also focused on monitoring the administration of the Millennium Challenge and British Petroleum grants in Georgia and the revenues from the privatization process, and on analyzing the European Neighborhood Policy (ENP) process in Georgia. The coalition also works toward the implementation of EITI in Georgia.

To receive more detailed information about the Coalition and its activities, please visit www.publicfinance.ge.



**www.tblpod.com**

2007 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გააგრძელა ყოველკვირეული პოდკასტის მომზადება საქართველოში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. პოდკასტი არის ციფრული აუდიოფაილი. მსმენელებს შეუძლიათ მისი გამოწერა ან ჩამოტვირთვა საკუთარ აიპოდზე ან კომპიუტერზე. ახალი ფაილების განთავსება ხდება ყოველ შაბათს მისამართზე www.tblpod.com. პოდკასტის ძირითადი მიზანია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ მოკლე ინფორმაციის მიწოდება მათთვის, ვინც დაინტერესებულია ქვეყანაში არსებული ვითარებით (განსაკუთრებით, უცხოელებისა და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისთვის). „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ არის პირველი და ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ამზადებს პოდკასტს საქართველოს შესახებ.

**www.tblpod.com**

In 2007, TI Georgia continued producing weekly podcasts of significant news stories from Georgia. The podcast is a digital audio file that listeners can subscribe to or download onto their iPods or computers. They are uploaded every Saturday to www.tblpod.com. The main goal of Tblpod is to provide brief information about developments in Georgia for those who are interested in the country, especially foreigners and Georgians living abroad. TI Georgia is the first and the only organization to produce podcasts about Georgia.

## უკრაინაში ერთიანი მისაღები გამოცდების ადმინისტრირების ხელშეწყობა

2007 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ დაიწყო თანამშრომლობა „უკრაინის სტანდარტიზებული მისაღები გამოცდების ინიციატივასთან“, რომელიც ჩართული იყო უკრაინის მისაღები გამოცდების რეფორმირების პროცესში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ „უკრაინის ტესტირების ტექნოლოგიების ცენტრს“ (TTC) დაეხმარა საზოგადოებრივი კვლევის ჩატარებაში, რათა დადგენილიყო გამოცდების პროცესში ჩართულ პირთა დამოკიდებულება საგამოცდო სისტემისა და მისი ადმინისტრირების მიმართ. ორგანიზაცია ასევე ჩართული იყო გამოცდების მონიტორინგის მექანიზმების შემუშავებაში და უშუალოდ მონიტორინგის განხორციელებაში. უკრაინაში ერთიანი სტანდარტიზებული გამოცდების მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარება 2008 წლის აპრილისთვის იგეგმება.

## THE UKRAINIAN STANDARDIZED EXTERNAL TESTING INITIATIVE

In 2007, TI Georgia began working with the Ukrainian Standardized External Testing Initiative in the reform of Ukraine's university admissions process. TI Georgia is consulting Ukraine-based Testing Technologies Center (TTC) in the development of surveys for various stakeholders to gauge public opinion of external testing for university admission and, together with TTC, designing a civil society observer component to monitor the transparency and efficacy of testing procedures in testing sites throughout Ukraine. The first nation-wide external testing process will be conducted in April 2008 in Ukraine.



## საარჩევნო მედიაცენტრი

2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ შექმნა მედიაცენტრი არჩევნების მონიტორინგში ჩართულ საქართველოს 3 ორგანიზაციასთან ერთად. ესენია: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“. მედიაცენტრის მეშვეობით დამკვირვებელი ორგანიზაციები საზოგადოებას აცნობდნენ მათ მიერ განხორციელებული საარჩევნო მონიტორინგის შედეგებს და მასმედიისა და საზოგადოების ყურადღებას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელ წინაპირობებზე ამახვილებდნენ. მედიაცენტრი ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით ფუნქციონირებდა.

## ELECTION MEDIA CENTER

In advance of the 5 January 2008 snap presidential election, TI Georgia formed a media center together with three Georgian election monitoring organizations: the Georgian Young Lawyers' Association (GYLA), the International Society for Fair Elections and Democracy (ISFED), and New Generation - New Initiative (nGnI). Through the media center, the monitoring organizations publicized their monitoring findings and assessment of the election process and drew media and public attention to the main pre-conditions for ensuring free and fair conduct of the presidential election. The Open Society Georgia Foundation (OSGF) provided financial support for the operation of the media center.

## „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ გაზეთში “GEORGIA TODAY”

2007 წლიდან „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ თანამშრომლობს ყოველკვირეულ ინგლისურენოვან გაზეთთან “Georgia Today”, რომელიც აქვეყნებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ მომზადებულ სტატიებს კორუფციის, გამჭვირვალობისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საკითხებზე. ამგვარი თანამშრომლობა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ აძლევს დამატებით შესაძლებლობას, რომ თავის მიერ განხორციელებული პროექტების, მათი შედეგების და შესაბამისი რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია ფართოდ გაავრცელოს ინგლისურენოვან მკითხველებს შორის როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. „Georgia Today”-ს ინტერნეტ-გვერდი იხილეთ მისამართზე www.georgiatoday.ge. სტატიების ბმულები აგრეთვე განთავსებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ინტერნეტ-გვერდზე (www.transparency.ge).

## TI GEORGIA IN GEORGIA TODAY

In 2007, TI Georgia partnered with the local English-language publication Georgia Today, which publishes weekly articles composed by TI Georgia on different issues related to corruption, transparency, and Georgia’s development. The partnership allows TI Georgia another way to disseminate project results and public policy recommendations locally and abroad among the English-speaking community. To access Georgia Today’s webpage, please go to www.georgiatoday.ge. Links to TI Georgia’s articles in Georgia Today are also available at TI Georgia’s website (www.transparency.ge).



# მომავალი საქმიანობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მომავალი საქმიანობის ძირითადი მიზნები კვლავ რეფორმის პრიორიტეტების განსაზღვრაში საზოგადოების ჩართვა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ეფექტიანობის შეფასება იქნება. შესაბამისად, ორგანიზაცია გააგრძელებს:

- ახალ პარლამენტთან თანამშრომლობას მისი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის, კანონშემოქმედებითი პროცესის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლებისა და ამ პროცესში მისი ჩართვის მიზნით;
- სხვადასხვა სექტორში ხელისუფლების მიერ ინიცირებული რეფორმების მონიტორინგს, ადგილობრივ და საერთაშორისო ვალდებულებებთან მათი შესაბამისობის, რეფორმების განხორციელების პროცესის გამჭვირვალობის და მიღწეული შედეგების მდგრადობის ანალიზს;
- ხელისუფლების ანტიკორუფციული ინიციატივების მონიტორინგს, ქვეყნის ანტიკორუფციული სისტემის (კორუფციასთან ბრძოლაში ჩაბმული სახელმწიფო უწყებების) და პოლიტიკის შემუშავების პროცესის ძირითადი დადებითი მხარეებისა და ნაკლოვანებების დადგენას;
- კორუფციის თვალსაზრისით ყველაზე პრობლემური სექტორების გამოვლენას, ამ სექტორებში კორუფციის კონკრეტული მიზეზების და მათი აღმოფხვრის გზების განსაზღვრას;
- ჟურნალისტებისათვის მონიტორინგისა და თავისი სხვა საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიწოდებას.

# FUTURE ACTIVITIES

The major objectives of TI Georgia's future activities will be engaging the public in setting reform priorities and assessing the effectiveness of policy making and implementation in Georgia by:

- Working with the new Parliament to promote its transparency and accountability and increase public awareness of and participation in the legislative process;
- Monitoring the government's reform initiatives in different sectors and analyzing their compliance with its national and international commitments, the transparency of the reform implementation process, and the sustainability of the results achieved;
- Monitoring and evaluating the government's anti-corruption initiatives and identifying the major strengths and weaknesses of Georgia's anti-corruption system (i.e., the state agencies involved in fighting corruption) and policy-making;
- Identifying the most problematic sectors in terms of corruption and fighting corruption through increased transparency of these sectors and identification of the concrete causes of corruption;
- Briefing journalists on a regular basis about monitoring findings and the results of our activities.

# თქვენი მონაწილეობა

თუ გსურთ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმაროთ, თქვენ შეგიძლიათ:

*მიიღოთ ინფორმაცია*

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ რეგულარულად, როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდვითი სახით აქვეყნებს ანგარიშებს, ანალიტიკურ მასალებს და სხვა სახის ინფორმაციას თავის მიერ განხორციელებული პროექტების შედეგების შესახებ. ამ პუბლიკაციების გასაცნობად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ჩვენს ოფისს ან იხილოთ ჩვენი ინტერნეტ-გვერდი, რომელზედაც პერიოდულად თავსდება განახლებული ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის თაობაზე. ასევე სასურველია, ეს ინფორმაცია მიაწოდოთ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და ამით „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ უფრო მეტი ადამიანის ინფორმირებაში შეუწყოთ ხელი.

*გაიღოთ შემოწირულებები*

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ დაფინანსებას სხვადასხვა წყაროდან იღებს, რომელთა შორისაა საერთაშორისო ფონდები, უცხო ქვეყნების მთავრობები და კერძო სექტორი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ პოლიტიკა გულისხმობს როგორც ფულადი, ისე სხვა სახის მატერიალური დახმარების  მიღებას ნებისმიერი დონორისგან, იმ პირობით, რომ დახმარების მიღება არ შეზღუდავს ორგანიზაციის დამოუკიდებლობას და საფრთხეს არ შეუქმნის მის რეპუტაციას. იმისთვის, რომ უკეთ გაეცნოთ ჩვენს პოლიტიკას შემოწირულობების სფეროში, იხილეთ ქვეთავი „შემოწირულობები“ თავში „ჩვენს შესახებ“ ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე.

*გახდეთ ინტერნი*

უკვე რამდენიმე წელია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ 2 თვის ვადით იღებს ინტერნებს. ინტერნებს შესაძლებლობა ეძლევათ, შეიძინონ დამატებითი ცოდნა, გაამდიდრონ საკუთარი შრომითი გამოცდილება და, იმავდროულად, ხელი შეუწყონ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ საქმიანობას მისი პროექტების ფარგლებში.

*მიიღოთ მონაწილეობა*

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ პროექტების ნაწილს სტუდენტების, ჟურნალისტებისა და სხვა აქტიური მოქალაქეების მონაწილეობით ახორციელებს. ეს ადამიანები ჩართული იყვნენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგში, როგორც დამკვირვებლების, ისე ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომწოდებლების სახით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს იმ მოქალაქეებთან, რომლებიც მონაწილეობენ ორგანიზაციის საპარლამენტო პროექტების ფარგლებში გამართულ საჯარო შეხვედრებში.

**2008 წელს თქვენ კვლავ გექნებათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, მიმართოთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ოფისს ტელეფონით ნომერზე (995 32) 92 14 03 ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე info@transparency.ge.**

# GETTING INVOLVED

If you would like to contribute to TI Georgia's fight against corruption, you may do so in the following ways:

## *Get informed*

TI Georgia regularly publishes reports, analysis, and project results both electronically and in print. To receive these publications, please contact the office or visit our website for up-to-date information regarding these activities. We also invite you to further disseminate this information to anyone who might be interested.

## *Donate*

TI Georgia is funded by diverse sources: foundations, foreign governments, and the private sector. It is TI Georgia's policy to accept funding from any donor (whether monetary or in kind), provided that this acceptance does not impair our independence to pursue our mission or endanger our integrity or reputation. To learn more about our donation policy, please visit the section "donation policy" under "about us" on our website.

## *Intern*

For the past few years, TI Georgia has been accepting interns - both local and international - for two-month long internships. This opportunity allows interns to supplement their studies and augment their work experience at the same time that they contribute to TI Georgia's programmatic activities.

## *Participate*

Some of TI Georgia's projects require the participation of students, journalists, and active citizens. In 2007, these groups contributed to TI Georgia's monitoring of the presidential and parliamentary elections, both by serving as election observers and informing the organization's head office and regional coordinators about the misuse of administrative resources in their regions. TI Georgia also used citizen input in our parliamentary activities, conducting public meetings in all regions of Georgia and disseminating information about legislative changes to regional stakeholders.

**2008 will bring more opportunities for you to get involved in the fight against corruption. To learn more about these opportunities, please contact TI Georgia's office at (995 32) 921403 or info@transparency.ge.**

# გამგეობის წევრთა და თანამშრომელთა სია

| | |
|---|---|
| **გამგეობა**<br>(2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) | **TI Georgia Board of Directors**<br>(as of 1 January 2008) |
| **მარკ მალენი**, გამგეობის თავმჯდომარე | **MARK MULLEN**, Chair |
| **ჯაბა ებანოიძე**, მდივანი | **JABA EBANOIDZE**, Secretary |
| **ნიკა ღვინაძე**, წევრი | **NICK GHVINADZE**, Member |
| **ლევან რამიშვილი**, წევრი | **LEVAN RAMISHVILI**, Member |
| **თამუნა ქაროსანიძე**, წევრი | **TAMUNA KAROSANIDZE**, Member |

| | |
|---|---|
| **აღმასრულებელი ოფისი**<br>(2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) | **Staff**<br>(as of 1 January 2008) |
| **თამუნა ქაროსანიძე**<br>აღმასრულებელი დირექტორი | **TAMUNA KAROSANIDZE**<br>Executive Director |
| **ნინა ხატისკაცი**<br>საპარლამენტო პროგრამის დირექტორი | **NINA KHATISKATSI**<br>Parliamentary Program Director |
| **ქემრინ ქრისტენსენი**<br>განვითარების მენეჯერი | **CAMRIN CHRISTENSEN**<br>Development Manager |
| **ეკა დურგლიშვილი**<br>ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი | **EKA DURGLISHVILI**<br>Financial and Administrative Manager |
| **ანი ახალკაცი**<br>საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი | **ANI AKHALKATSI**<br>Public Relations Coordinator |

# MEMBERS OF THE BOARD AND EXECUTIVE

| | |
|---|---|
| **თამარ მაჭარაშვილი**<br>იურისტი | **TAMUNA MACHARASHVILI**<br>Lawyer |
| **ზვიად სხვიტარიძე**<br>იურისტი | **ZVIAD SKHVITARIDZE**<br>Lawyer |
| **ლიანა ჯერვალიძე**<br>ენერგეტიკის ექსპერტი | **LIANA JERVALIDZE**<br>Energy Expert |
| **მარიამ გაბედავა**<br>ანალიტიკოსი | **MARIAM GABEDAVA**<br>Analyst |
| **გვანცა ბაქრაძე**<br>საპარლამენტო პროგრამის ასისტენტი | **GVANTSA BAKRADZE**<br>Parliamentary Program Assistant |
| **თინათინ ბრეგვაძე**<br>პროგრამის ასისტენტი | **TINATIN BREGVADZE**<br>Program Assistant |
| **ნანა ლობჟანიძე**<br>პროგრამის ასისტენტი | **NANA LOBJANIDZE**<br>Research Assistant |
| **თემურ ოვჩიევი**<br>ლოჯისტიკის მენეჯერი | **TEMUR OVCHIEV**<br>Logistics Manager |
| **თეონა გოლოშვილი**<br>ოფისის ასისტენტი | **TEONA GOLOSHVILI**<br>Office Assistant |
| **ალექსანდრე ჩუპრინი**<br>IT მენეჯერი | **ALEXANDER CHUPRIN**<br>IT Administrator |

| რეგიონული კოორდინატები<br>(2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) | **Regional Coordinators**<br>**(as of 1 January 2008)** |
|---|---|
| ᲕᲔᲠᲐ ᲑᲘᲬᲐᲫᲔ<br>შიდა ქართლი | **VERA BITSADZE**<br>Shida Kartli |
| ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ<br>სამეგრელო | **MARINA DAVITAIA**<br>Samegrelo and Zemo Svaneti |
| ᲗᲔᲛᲣᲠ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ<br>სამცხე-ჯავახეთი | **TEMUR GOGOLADZE**<br>Samtskhe-Javakheti |
| ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲔ<br>გურია | **KAKHA LOMADZE**<br>Guria |
| ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ<br>მცხეთა-მთიანეთი | **TAMAR MAISURADZE**<br>Mtskheta-Mtianeti |
| ᲞᲐᲐᲢᲐ ᲨᲐᲠᲐᲨᲔᲜᲘᲫᲔ<br>იმერეთი | **PAATA SHARASHENIDZE**<br>Imereti |
| ᲜᲐᲜᲐ ᲡᲝᲮᲐᲫᲔ<br>რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | **NANA SOKHADZE**<br>Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti |
| ᲝᲗᲐᲠ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ<br>ქვემო ქართლი | **OTAR TSINTSADZE**<br>Kvemo Kartli |
| ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲪᲣᲙᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ<br>კახეთი | **ALEKSI TSUKILASHVILI**<br>Kakheti |

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მადლობას უხდის იმ 13 მოდერატორს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ევროკომისიის და კანადის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო ფორუმები ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი მოსახლეობისათვის“ განხორციელებაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ასევე მადლობას უხდის სტაჟიორებს: ხატია ქირიას, გიორგი ჭეხანს, მაია სუხიაშვილს, ეკა როსტომაშვილს, თამუნა გეჯაძეს, ქეროლინ ჰამერს, ედუარდო სერზედელს, რომლებმაც ორგანიზაციის საქმიანობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს.

TI Georgia would like to acknowledge the contribution of our 13 moderators, who implemented the *Civic Forum for Ethnic Azeris* project funded by the European Commission.

TI Georgia would also like to thank our interns - Khatia Kiria, Giorgi Tshekhani, Maia Sukhiashvili, Eka Rostomashvili, Tamuna Gejadze, Carolyn Hammer, and Eduardo Serzedelo - who contributed to the implementation of our programmatic activities and the function of the office in 2007.

აირის საქართველო

ამერიკის იურისტთა ასოციაცია ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა (ABA\CEELI)

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

ბრიტანეთის საბჭო საქართველო

ბრიტანეთის საელჩო თბილისი

BP საქართველო

გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი (DFID)

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

ევროკომისიის დელეგაცია საქართველოში (EC)

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE)

ეროვნული შემოწირულობა დემოკრატიისათვის (NED)

კანადის საელჩო

კანადის ფონდი

ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრო

ნიდერლანდების სამეფოს საელჩო

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო

პოლონურ-ჩეხურ-სლოვაკური სოლიდარობის ფონდი

საბიუჯეტო პოლიტიკის პრიორიტეტების ცენტრი

საერთაშორისო გამჭვირვალობა, სამდივნო (TI-S)

ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)

ღია საზოგადოების ინსტიტუტი (OSI)

შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო (SDC)

# LIST OF DONORS SINCE REGISTRATION

(IN ALPHABETICAL ORDER)

American Bar Association Central European and Eurasian Law Initiative (ABA/CEELI)

BP Georgia

British Council Georgia

British Embassy Tbilisi

Canada Fund

The Canadian Embassy

Center on Budget Policy Priorities

Eurasia Partnership Foundation

European Commission Delegation to Georgia (EC)

IRIS Georgia

Ministry of Foreign Affairs of Finland

Ministry of Foreign Affairs of Latvia

Ministry of Foreign Affairs of Poland

National Endowment for Democracy (NED)

Open Society Georgia Foundation (OSGF)

Open Society Institute (OSI)

Organisation for Security and Co-operation in Europe (OSCE)

Polish-Czech-Slovak Solidarity Foundation

Royal Netherlands Embassy

Swiss Agency for Development and Cooperation (SDC)

Transparency International Secretariat (TI-S)

UK Department for International Development (DFID)

United States Agency for International Development (USAID)

# ფინანსური მონაცემები

## შემოსავლები წლების მიხედვით (ლარებში)
## INCOME BY YEARS (IN GEL)

| | |
|---|---|
| 2000 | 115 248 |
| 2001 | 268 912 |
| 2002 | 37 745 |
| 2003 | 94 754 |
| 2004 | 269 708 |
| 2005 | 496 986 |
| 2006 | 696 646 |
| 2007 | 655 022 |

## დანახარჯები EXPENDITURES



# FINANCIAL DATA

დონორები DONORS



შპს აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური
„მედიატორი"
MEDIATOR LTD

საქართველო, თბილისი 0171, 26 მაისის მოედანი 1, სასტუმრო „აჭარა"
ტელ./ფაქსი: 33 09 06; ტელ.: 45 09 06
ელ. ფოსტა: medi2005@mail.ru
www.mediator-ltd.com.ge

26 May Sqr. 1, Tbilisi 0171, Georgia, "Ajara" Hotel
Tel./Fax: (995 32) 33 09 06; Tel.: (995 32) 45 09 06
E-mail: medi2005@mail.ru
www.mediator-ltd.com.ge

№ 18

"14" აპრილი 2008

*დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა*

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-ს სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

ჩვენ ჩავატარეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-ს (შემდგომში - „ორგანიზაცია") თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა 2007 წ. 31 დეკემბერს. ანგარიშგება მოიცავს ფულადი შემოსულობების და გასავლების ანგარიშებს. ანგარიშგების შედგენაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის მენეჯმენტი. ჩვენ კი გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ ჩვენი აზრი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ დასკვნა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, კერძოდ, სპეციალური დანიშნულების აუდიტის შესახებ ISA 800-ის შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ დასაბუთდეს არსებობს თუ არა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე არსებითი ხასიათის უზუსტობა. აუდიტი მოიცავს ანგარიშგების თანხებისა და მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს მენეჯმენტის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების დადგენას, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანობაში.

ორგანიზაციის პოლიტიკა გულისხმობს თანდართული ანგარიშგების მომზადებას ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასვლის საფუძველზე. ამ საფუძველზე შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც იგი რეალურად მიიღება და არა მაშინ, როცა იგი გამომუშავდება; ხოლო ხარჯების აღიარება ხდება მათი გადახდისას და არა გაწევის მომენტში.

ჩვენი აზრით, თანდართული ანგარიშგება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-ს შემოსავალსა და გადახდილ ხარჯებს იმ საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2007 წლის 31 დეკემბრისათვის.

შპს "მედიატორი"
თბილისი, საქართველო

---

შპს აუდიტორული და საკონსულტაციო სამსახური
„მედიატორი"
MEDIATOR LTD

საქართველო, თბილისი 0171, 26 მაისის მოედანი 1, სასტუმრო „აჭარა"
ტელ./ფაქსი: 33 09 06; ტელ.: 45 09 06
ელ. ფოსტა: medi2005@mail.ru
www.mediator-ltd.com.ge

26 May Sqr. 1, Tbilisi 0171, Georgia, "Ajara" Hotel
Tel./Fax: (995 32) 33 09 06; Tel.: (995 32) 45 09 06
E-mail: medi2005@mail.ru
www.mediator-ltd.com.ge

№ 18

"14" april 2008

Independent Auditors' Report
for Special Purpose Financial Statements of
Transparency International Georgia

We have audited the statements of operations of Transparency International Georgia for the period of 1 January 2007 to 31 December 2007. These statements of operations include incomes and expenditures of the organization. The management of the organization is responsible for compiling the financial statements. From our side, on the basis of the audited documents, we are responsible to express our judgment and give the final opinion regarding the given statements of operations.

The audit was conducted in accordance with the International Standards on Auditing, namely ISA 800. The Standards' requirements oblige us to plan and perform the audit assuring that financial statements are free of essential misstatement. An audit includes examining, on a test basis, evidence supporting the amounts and disclosures in the financial statements. An audit also includes assessing the accounting principles used and significant estimates made by the management, as well as evaluating the overall financial statement presentation. We believe that our audit provides a reasonable basis for a final opinion.

In our opinion, the audited financial statements, completed in accordance with Georgian legislation, fairly present the financial position of Transparency International Georgia for the year 2007.

LLC Mediator
Tbilisi, Georgia

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26 Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

© 2007, Designed by Besik Danelia